

ბურჯი ეროვნებასა

საქართველო
მედიის
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების გაზეთი

თბილისი, აგვისტო,
1995 წელი

ამ ნომერი
პროგრამა

ქართლად

ფრიადი

ქუეყანა

ალირაცხების,

რომელსაცა შინა

ქართულითა ენითა

უამი შეიწირვის და

ლოცვა ყოველი

ადესრულების.



ქართული
ენობრივი
ეტიკეტი

რა ენა წახდეს

აბიტურიენტის
ფურცელი

თღონდ
ქართულად
ილაპარაკეთ

სიტურფით
სავსე ქართული

ანა-ბანა

2

ბიორგი მერგულე

მონაპირი რედაქტორი

ბიორები ზოგოლაშვილი

რედაქტორი

იოსებ ჯამბურია

დირექტორი

კახა შავაშვილი

გასაშენებელი რედაქტორი

ჯამბურია

გასაშენებელი რედაქტორი

ილია ზამთარაძე

სარედაქციო კოლეგია

შუბია აფრემიანი

ბინაძე გურგულიანი

ლევან ზამთარაძე

კორექტიორი

კორნელი ჯანაშია

ციცილო კვინიტაძე

განაწილებელი

გურამიანი

ნანა ლომიანი

ობიანი შინდია

ინელი ჯამბურია

თამარ ხაჩიანი

ინელი ჯორჯანიანი

გასაშენებელი

გიორგი

“ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა” გუშინ, დღეს, ხვალ

80-იანი წლების დასასრულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება. იდეა ამგვარი პროგრამის შემუშავებისა ბესარიონ ჯორბენაძეს ეკუთვნის. რესპუბლიკის იმპროვიზირებული ხელმძღვანელობის ხელისშეწყობითა და თანადგომით მომზადდა და 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა პროექტი პროგრამისა. უფროსად აქტიური განხილვა 9 თვეს გაგრძელდა. პროგრამის ცალკეული პუნქტების განხორციელება პროგრამის დამტკიცებამდე დაიწყო. 1989 წლის აგვისტოში დამტკიცდა და გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. სამწუხაროდ, მალე დავიწყეთ ამ პროგრამის არსებობა. ქართული ენის წინაშე დასმული პრობლემები გამრავლდა, გართულდა.

1994 წლის ოქტომბერში ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებრივი რადიოთი, ტელევიზიითა და პრესით გაავრცელა განცხადება:

„ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების განცხადება ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების წინაშე დამდგარმა პრობლემებმა აუცილებელი გახდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავება (დამტკიცდა 1989 წელს).

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ დაიწყებას მისცა. ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით: ასეთი უგულისყოფილი, უბატონო, უფარდელი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, ამჟამად რომ არის, ბოლო ათწლეულებში არ ყოფილა. განუკითხავად ირღვევა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები პრესაში, რადიოთა თუ ტელევიზიაში, ნებისმიერ დაწესებულებაში; სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სასწავლებლებში შესუსტდა, ანდა საერთოდ იგნორირებულ იქნა ქართული ენის სწავლება. არის მცდელობა, უმჯობესად სასწავლებლებში მისაღები გა-

მოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩათვლით შეიცვალოს, ანდა საერთოდ უგულებელყოფილი იქნეს...

მიმართავთ ყველას, ვისაც ეს შეეხება:

დაუყოვნებლივ ამოქმედდეს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიურად შეიძლება ისე დაზარალებდეს ქართული ენა, რომ წლები დასჭირდეს წამსვარის გამოსწორებას.“

გაზეთ „თბილისში“ (4 ნოემბერი, 1994 წ.) საპასუხოდ დაიბეჭდა მინისტრთა კაბინეტის პრესკონტრის

წერილი სათაურით „დაველოდით ახალ რედაქციას“. პრესაში გამოქვეყნდა ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების განცხადება, რომ ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ დაიწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს. ამასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური განმარტავს, რომ 21 ოქტომბერს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ი. მენაღარაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დაისახა დონისიებანი ამ კომისიის შემდგომი საქმიანობის უზრუნველყოფისა და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებლად.“

მოუხედავად იმისა, რომ საპასუხო წერილში რამდენიმე უზუსტობაა, არსებითია ის, რომ ბატონი ი. მენაღარაშვილის თაოსნობით დაიწყო სრულყოფილი ქართული ენის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო პროგრამის გაცოცხლების შესახებ. ამის შედეგი იყო ის, რომ გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის, ბატონი ე. შევარდნაძის განკარგულება (1995 წლის 27 იანვრისა):

„უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქარ-

თული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რაც დღევანდელ პირობებში არსებითად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებას, მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას.

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თავმჯდომარეობით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა: — ორი თვის ვადაში დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება;

— ერთი თვის ვადაში შესაისრულებლად წარმოადგინოს და შემდგომ დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა.

3. საქართველების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ი. მენაღარაშვილს.“

მინისტრთა კაბინეტის პრესკონტრო გვიპირდებოდა, რომ სწორედ ეს კომისია შეიმუშავებდა ახალ რედაქციას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამისას.

როგორც ჩვენივესა ცნობილი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიამ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად შვედეთში შეიმუშავა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამების ახალი რედაქცია, რომელიც უნდა წარედგინოს მინისტრთა კაბინეტს.

ვიმედოვნებ, რომ ამ საქმეს დაბრკოლებები აღარ შეხვედბა და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემდგომი სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაეპყრება, რომ სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდება.

პრი დედაა მისა



ჩვენი გაზეთის სათაურს, ბოლომდე იცის უკვე მკითხველმა, დიდ იაკობს დავესყუდებ. „მუხრანის ეთნოგრაფიის“ პირველად გაზეთ „იფრიათი“ გამოქვეყნდა 1890 წელს სათაურით „მითითადი უკუღმართობანი“. ჩვენდა საუბედუროდ, იგივე უკუღმართობანი დღესაც გვიძინიან პტომლუმის: დღესაც აქვთალური ის ცვივილი, რაც იაკობს ალაპარაკებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გავისყენოთ დიდი წინაპრის სულის ღალადისი. დიას, ეს ნაშრომი თავად იაკობმა ასე შეათქმნა: „ღალადისია დედაინის უფლებების დასაცავლად და გასამართლად ბოლომდე იქნას, ისე სახალხო სკოლაში“. ვთავაზობთ I ნაწილს.

იაკობ გოგებაშვილი

ბურჯი ეროვნებისა

გაგოგონათ მებაღე, რომელიც უზომოდ მონატრული ყოფილიყოს ხილის უხვის მოსავლისა და ხეხილებისთვის კი ძირი და ფესვები ეთხაროს, ეფუჭებინოს, ეხმოს? განა, არ გაგოგონათ?..

გადაავლეთ ახლა ყურადღებით თვალი ჩვენის მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლასა და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენს შორის მოიპოვებინ არა ერთნი და ორნი მშობელნი, რომელიც ამ საარაკო, არ გაგონილს მებაღეს მოგაგონებენ. მართლად რომელი მშობელი არა ნატრობს თავისი შვილები-სათვის გამჭირიანს ჭკუასა, ღრმა გრძობასა, მტკიცე ხასიათსა, ერთი სიტყვით, — კაცურს კაცობასა? გარნა ზოგნი, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონვე საკუთარი ხელით ძირს უთხრიან თავიანთის შვილების სულის განვითარებასა, ფესვებს უხმობენ მათ გონების და გრძობის დასრულებასა, აყვავებასა.

როგორ და რა გზით? იგინი ნორჩის თაობის აღზრდა-სწავლაში ადგანან იმისთანა უკუღმართს გზასა, რომელიც ძლიერ დამაკვეითებელია აზროვნებისა. გულისა, ხასიათისა და რომელიც ფუქსა-

ვატობის დედაა, ძიძა და გამაღელი.

რაში მდგომარეობს ეს უკუღმართი გზა?

ტურგენევი ერთს თავის თხზულებაში ამბობს: „ხშირად, როდესაც სრული სასოწარკვეთილება მომერეოდა ხოლმე ჩემის სამშობლო ქვეყნის მომაგლის შესახებ, ერთადერთს ნათელ წერტილად შავს ჰორიზონტზედ, ერთადერთს გამამხნეებელ იმედად უიმედო მდგომარეობაში მომეგვინებოდა ხოლმე ჩემი სამშობლო რუსული ენა, და ჩემს გულში ვამბობდი: ხალხმა, რომელმაც შექმნა ამისთანა მდიდარი და მშვენიერი ენა, არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, არ დაახწიოს თავი ახლანდელს გაჭირვებულს მდგომარეობას, არ გავიდეს წარმატების ფართო გზაზედ და არ დაეწაფოს შორს მომავალში მაინც ბედნიერის ცხოვრების წყაროსა“.

არა ნაკლებს საფუძვლიანობით შეუძლიან სიტკბას შეგნებულმა ქართველმა ესევე სიტყვები ჩვენს დედა-ენაზედ. ვისაც კი მეტ-ნაკლებობით შეს-

წავლილი აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე, აზრსა და გრძობაზედ ზედგამოჭრილობა და კაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულობის ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და დაამყარა თავის ორგანიზულს ნაწილებს შორის სრული ჰარმონია ძველთაგანვე, მეთორმეტე საუკუნეში. კითხეთ ლინგვისტებს, ენის-მეტყველთა — რაში მდგომარეობს ღირსება ენისა, და ისინი დაგისახელებენ: სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკული სქესების არ ქონვას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევასა, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებელის დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზედ, მრავალფეროვნებას და მოქნილებას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას. რომელმა განვითარებულმა ქართველმა არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა,

რომელიც ამ ღირსებათა წყალობით ყველა ცოცხალდნად განსხვავებულს შემეცნებას, მდგომარეობას, მოქმედებას და ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებით, ზედ-გამოჭრილი ფორმითა, საადვილო გამოხატულებითა!

დიაღ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლევს, ვახს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავეს მრავალ-გვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძობითა, დიდი სიხარუ-

პრო დედა პნისა

მესამე გვერდიდან

ლითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს. კიითხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ გაფურჩქნილს, განვითარებულს ქართულ ენასა და მერე გაერთობულს, შეკუმშულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა.

დიად, ლინგვისტი, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლიდა ქართულს ენას, იტყოდა თითქმის იმასვე, რაც სიტკვა გამოჩენილმა სწავლულმა უსლარმა ქართულს ანბანზედ, რომელიც მან აღიარა თითქმის უსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამ უამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და უანგს აჭმევინებს. ამიტომ, თბიქტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში, არის დატაკი და დღე ნაკლულს არსებას მოგაგონებთ.

კიდევ ისე სამწუხარო არ იქნებოდა ქართული ენის აბუნად აგდება, რომ ამ მოვლენას ვხედავდეთ

მხოლოდ სასწავლებლებში; მაგრამ სავაგლახო და სავალალო ის გახლავთ, რომ იქაც კი, სადაც დედა-ენა უნდა შეუცილებლად უფლობდეს და სუფევდეს, მას ეპყრობიან, აქა-იქა მაინც, სწორედ ისე, როგორც ავეული დედინაცვალი ექცევა ათვალისწუნებულს თავისს გერსა. ეს მომაკვდინებელი სენი ცოტ-ცოტათი

კიითხთ, რად დაგებათ პირი უკულმაო, ბოდიშის მოსახდელად ზოგნი დაგისახელებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბედის წერამ უცხოელს ქალებს გადაგვიცაო; მაგრამ განა ეს შესაწყნარისი საბუთია? განა კაცმა რომ უცხო ტომის ქალი ცოლად შეირთოს, უნდა მოაშოროს შვილები დედაენას, სამშობლოს და გა-

სწყვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებასა, რომ ეს მშობელნი, ერთი სიტყვით, დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე. არ გამოვეკიდებოთ იმის გამო, რ თმ მაღალი მცნება კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისა: „გიყვარდეს ერი შენი უმეტეს თავისა შენისა“, ისეთი მაღალი სწავლაა, რომელსაც ყველას გონება ვერ შესწვდება და რომლითაც ყველა გული ვერ იხელმძღვანელებს. ჩვენ სხვა, ყველასათვის გასაგებ მხრიდგან მოგუგლით საგანსა და, იმედი გვაქვს, დღესავით ცხადად დავამტყიცებთ, რომ ნამდვილის კაცურის გონებისა, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, მათი პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშობელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათს აღზრდაში მეტნაკლებობით უარ-ყოფილია დედა-ენა, ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა, — რომ ისინი, ვინც ამ გამაცხოველებელს ძალას მხარს უქცევენ, თავისავე ხელით უთხრიან სამარესა თავისი შვილების ჯეროვანს განვითარებას, ნათელს მომავალს, მათს სანატრელს ბედსა და ჰხედებიან ნამდვილნი დამნაშავენი მათ წინაშე...

ბურჯი ეროვნებისა

ეპარება ქართულს სახლობრივს სფერასაც და ისიც რომელსა? არა მართლ გადაბირებულს მოხელეთა ოჯახობასა და ზოგიერთა გაფუქსავატებულს არისტოკრატებსა, არამედ თვით ჩვენს განათლებულს დასსაც კი განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა კი ჭაჭანებაც არ ისმის. უფრო კიდევ სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარ სახლობათა რიცხვში ჰხედავთ მესამოცე და მეოთხმოცე წლების ზოგიერთა პატრიოტებსაც, რომელნიც ლიტერატურაში ცხარე-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულისშვილობაზედ და საქმე კი იმით გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნებას და თავიანთ სახლებიდგანაც გამოაძევეს ქართული ენა. ამ ვაჟბატონებს რომ

დაბირების გზაზედ დააყენოს?.. ამაზედ კიდევ უფრო უარესი ის გახლავთ, რომ ზოგჯერ დედაც ქართველია და მამაცა, არც ერთი არ არის მოკლებული არც განათლებასა, არც გრძნობასა და არც აზროვნებას; მაგრამ სახლობაში კი ბრმა მიმდევარი არიან უგუნურის მოდისა და მასში ამყარებენ, ეროვნული ატმოსფერის მაგიერ, გადამბირებელს მიმართულებასა.

ეროვნულს სკოლას შეეძლო მეტნაკლებობით შეესუსტებინა მავნებლობა ამ გვარის ოჯახის უკულმართობისა; მაგრამ სად არის ამ გვარი სკოლა? ჩვენს სკოლებში ყველაფერს აქვს ადგილი, გარდა ეროვნებისა.

ჩვენ არ გამოვეკიდებოდით იმ აზრის განმარტებას, რომ ის მშობელნი, რომელიც თავისს შვილებსა ზრდიან გარეშე დედაენის გავლენისა,

რა მნა წახდეს

სიტყვათა რიბი და ურიბო ქართული

ქართულში, მრავალი სხვა ენისაგან განსხვავებით, წინადადებაში სიტყვათა თანამიმდევრობა, ანუ სიტყვათა რიგი მკაცრად არაა განსაზღვრული. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ ეს შედარებითი თავისუფლება უნესრიგობად გაიგო.

თითქოს მნიშვნელობა არ ჰქონდეს, თუ როგორი თანამიმდევრობით უნდა განლაგდეს სიტყვები წინადადებაში. ასეთ შემთხვევებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. მოვიხიშოთ ზოგიერთ მაგალითს.

გადაცემაში „კანონი და კანონიერება“ (საქარ-

თველოს რადიო, 31.05.93) ძალზე საჭირობოროტო საკითხზე, ნარკომანიაზე საუბრისას ითქვა: „ნარკომანიაში ჩარეულნი არიან მოსწავლეები, ქალიშვილები... რამდენიმე ოჯახის წევრიც კი ერთად“. რა გულისტკივილს გვიზიარებს ავტორი? მხოლოდ რამდენიმე ოჯახის წევრი რომ იყოს „ნარკომანიაში ჩარეული“, სამწუხარო, მაგრამ ასე საგანგაშო ფაქტი არ იქნებოდა. საქმე ისაა, რომ უამრავი ქართული ოჯახის წევრია ნარკომანი და ზოგჯერ ერთი ოჯახის რამდენიმე წევრიც კი. ამის თქმა სურდა ავტორს, მაგრამ სიტყვათა რიგის დაუცველობამ ბუნდოვანი გახა-

და მისი სათქმელი და მიზანს ვერ მიაღწია. ან კიდევ: პარლამენტის სხდომის ტრანსლაციის დროს (საქართველოს ტელევიზია, 1 არხი, 16.06.93 19 სთ და 25 წთ) გაისმა ფრაზა — „მასიური სოსუმის დაბომბვა“, რაზეა საუბარი, „მასიურ სოსუმზე“? შეიძლება გვითხრან, ამას ყველა ქართველი გაიგებსო. ზოგჯერ იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ენა მხოლოდ გაგებინების საშუალება როდია, იგი აზროვნების იარაღია. ამიტომ ნუ დავაბლაგვეთ ამ იარაღს, თორემ მალე სათქმელსაც ვეღარ გავაგებინებთ ერთმანეთს.

ნანა ლოლაძე

ქართულში არსებობს ქონა-ყოდის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა, რომლებიც, ჩვეულებრივ, უქონლობის გამოსახატავად უფრო იხმარება, ვიდრე მქონებლობისა. ეს ზმნებია: გააჩნია, მოეპოვება, მოექცევა, აბადია... უარყოფით ნაწილაკთაგან ისინი მხოლოდ არ ნაწილაკს იგუებენ: არ გააჩნია, არ მოეპოვება, არ მოექცევა, არ აბადია... უარყოფითი ნაწილაკის გარეშეც მათი წართქმითი შინაარსი ერთგვარად პირობითია, რამდენადაც აღნიშნული ზმნებით გამოხატული მქონებლობა იმდენად მცირეა, კნინია, რომ თითქმის უქონლობას უტოლდება. ამიტომ ისინი დადებითი შინაარსით, უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, იშვიათად იხმარება და, თუ იხმარება, ისიც მხოლოდ კითხვით რა ან განუსაზღვრელ რაიმე ნაცვალსახელიან (რომლებიც კითხვის, ეჭვის ქვეშ აყენებენ რისაზე ქონებას), ანდა სიცოტავის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად (შდრ.: იმას რა გააჩნია, რა მოექცევა... თუ რაზე აბადია, თუ რაზე მოეპოვება... ცოტა რამ მოექცევა...).

აღნიშნულის გათვალისწინ-

ბაარნია თუ არ ბაარნია

ნებით, უმართებულა მათი ხმარება დადებითი შინაარსით — აქვს, ჰყავს ზმნათა მნიშვნელობით. ასეთი შესიტყვების მაგალითები კი ხშირად გვხვდება როგორც ზეპირ, ისე წერიტ მტყველებაში. ეს განსაკუთრებით ეხება გააჩნია ფორმას. არაიშვიათად გაიგონებთ და წაიკითხავეთ მსგავს ფრაზებს: „ქართველ ხალხს გააჩნია უდიდესი ნიჭი...“; „მოთხრობას გააჩნია განვითარებული სიუჟეტი“...; „კაბინეტს გააჩნია ჩანაწერები“; „კონსერვატორიას მუსიკოსთა ძლიერი ჯგუფი გააჩნია“; „ქალაქს მეტრო მოეპოვება“; „ხალხურ მედიცინას მდიდარი ტრადიცია მოექცევა“; „ქარხანას ბევრი მასალა აბადია“ და მისთ.

დასახელებულ შემთხვევებში კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს აქვს, ჰყავს ფორმები: ხალხს ნიჭი აქვს, მოიხრობას... სიუჟეტი აქვს, მუსიკოსთა... ჯგუფი ჰყავს, მედიცინას... ტრადიცია

აქვს, ქარხანას მასალა აქვს... გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: მართალია, არ გააჩნია, არ მოეპოვება, არ მოექცევა, არ აბადია... ბუნებრივი სიტყვათუხვამებებია, მაგრამ მათ გამოყენებასაც საკმაოდ შეზღუდული ველი აქვს. აღნიშნული გამოთქმებისათვის არსებითი დამახასიათებელი სემანტიკური ნიშანი არის არა ნეიტრალური უქონლობა, არამედ უქონლობის გამაფრებელი გამოხატულება, უქონლობის ერთგვარად ექსპრესიული, ემოციურად შეფერილი გადმოცემა. ამიტომ არის, რომ არ გააჩნია, არ აბადია... არ უდრის ნეიტრალური უქონლობის გამოხატულ გამოთქმებს: არა აქვს და არა ჰყავს. ყველაფერზე შეიძლება ითქვას აქვს/ჰყავს, მაგრამ არ გააჩნია, არ მოექცევა, არ მოეპოვება, არ აბადია... შეიძლება ითქვას მხოლოდ განსაკუთრებული უქონლობა-უბადრუკობის შემ-

თხვევაში. უქონლობის ამ უკიდურესობის საზგასახელოდ არ გააჩნია გამოთქმასთან ხშირად იხმარება — ც, — და, კი ნაწილაკებიც: „შენს მეტი აღარაფერ გააჩნია“, „მას ფარდულოც კი არ გააჩნია“, ერთი კაიკიც არ აბადია/მოექცევა...

მაშასადამე, ნეიტრალური უქონლობის გამოხატულ წინადადებებში დასაწუნია არ გააჩნია შესიტყვების გამოყენების ამგვარი შემთხვევები: „გაუაზრულს მტყველი ენა არ გააჩნია“, „მათ საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ მანქანები“, „დედ-მამა არ გააჩნდა“ და მისთ.

ერთადერთი კონტექსტი, რომელშიც გააჩნია-ს ხმარება უარყოფითი ნაწილაკისა თუ ნაცვალსახელების გარეშე მართებულია, ესაა ერთგვარი ფრაზეოლოგიური გამოთქმა, რომელიც გააჩნია მასთან შესიტყვებაში დაკავშირებული სახელით აღნიშნული საგნისა თუ მოვლენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მასთან აუცილებელ კავშირ-ურთიერთობაზე მიუთითებს: „გააჩნია ადამიანს/კონტექსტს“... „გააჩნია, რა შემთხვევაში“...

ასმათ აპაპიძე

გვერდის არქივიდან

დასასრული
დასწვისი იხ. „ბე.“ № 1
ვეფემიზმები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, „ნიფხაპერანგის“ ნაცვლად ადრე ამბობდნენ „პერანგი და მისი ამხანაგი“, მერე კი ორივე გამოთქმა „თეთრეულმა“ შეცვალა (ეს უკანასკნელი რუსული შესაბამისი გამოთქმის „депше“ კალიკია); ან: „დაჭერილია“ შეცვალა „დაპატიმრებულია“ ფორმამ, შემდგომ კი, შესაბამისად, გაჩნდა „ნიზოლირებულია“ და „ინტერნირებულია“ ფორმები; ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, მაღალი თანამდებობის პირის დაპატიმრების შემთხვევაში ითქმის.

ვეფემიზმები არ გამორიცხავენ სტილისტურ გარიანტულობას; მაგალითად, ერთი და იმავე მნიშვნელობის გამომხატველი ქვემოდასახელებული გამოთქმები სწორედ სტილისტური ნიუანსით არიან განსხვავებული:

ნეიტრალური: „მოკვდა“,
მოკრძალებული: „გარდაიცვალა“,
მაღალფარდოვანი: „სიცოცხლეს გამოესალმა“,
სინანულის გამოხატველი: „მზე (დღე) დაუბნელდა“,
გულგრილი: „თქვენი ქირი წაიღო“...

ვეფემიზმების საპირისპირო ენობრივი მოვლენაა დისფემიზმი, რომელიც ნეიტრალური გამოთქმის უფრო უხეში, ზოგჯერ კი უნმანური გამოთქმით შენაცვლებას გულისხმობს. მაგალითად, „მოკვდას“ ნაცვლად იტყვიან „ფეხები გაჭიმა“, „გაარტყას“ ნაცვლად — „ალიყური აჭამა“, „დაეცას“ ნაცვლად — „მოზომა“, „ზედმეტს ლაპარაკობს (აკეთებს)“ ნაცვლად — „ამლაშებს“ და სხვანი.

როგორც ვეფემიზმი, ასევე დისფემიზმი საზოგადოების ამა თუ იმ ფენის კულტურული დონის უშუალო გამოხატველია. თუმცა, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოების ფენები მხოლოდ ამ ნიშნით

არიან დიფერენცირებული. არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ სიტუაციასაც; ფაქტობრივად ნრეში დისფემიზმი არ აღიქმება ეთიკური ნორმის დაზღვევად, ოფიციალური ურთიერთობის დროს კი დაბალი ყოფითი კულტურის მაუწყებელია.

გენაროვნ ჯორაგენაქი

ქართული ენობრივი ეტიკეტი

ეთიკის სფეროს განეკუთვნება, აგრეთვე, ენობრივი ეტიკეტი, რომელიც ეფემისტურ გამოთქმებს უახლოვდება თავისი არსით.

მიმართვის ფორმებად „ბატონი“, „ქალბატონი“, მყოფობის გამოსახატავად „ბრძანდება“, „გახლავეს“ ფორმების გამოყენება სწორედ ენობრივი ეთიკის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ენობრივი ეთიკით შეპირებული ფორმები უძველესი პერიოდიდან იჩენს თავს ქართულში. თავდაპირველად ეს ფეოდალური იერარქიის პრინციპს ექვემდებარებოდა. მაგალითი, სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ასე განმარტავს: „თქმა ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო მოხსენება უაღრესისადმი და ბრძანება უმცროსისათვის, რამეთუ სამ-სახე არიან თქმანი“. „თქმის“ სამგვაროვნება სწორედ ენობრივი ეთიკის გამოხატულებაა: ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ფორმით გამოითქმის იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება.

ქართულში ამგვარი შესაძლებლობის მქონებლობას აღნიშნავს არჩილიც პოეტურ თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“:

„მაფინ-ყმურთ ლაპარაკი
სსჯა ათის და სსჯისა
სსჯათ:
ჩამოტთმა და მოსყნემა,
ბოგჯურ სიცივის
შენასჯათ,
სწოტ-ჟუტრთსჟლ-

ჟმეტრსჟლსა
ქართულსაც აქვს
დასახვათ“.

აქაც, როგორც ვხედავთ, სწორს (—სოციალურად თანასწორს), უფროსსა და უმცროსს შორის ურთიერთობაზე საუბარი ენობრივი ეთიკის

თვალსაზრისით. ამ მოვლენის გრამატიკული დახასიათება მოცემულია აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ენობრივი ეთიკის დონეზე სიტყვამ შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელობა და იმედროულად სხვა გამოთქმაში თავისი პირვანდელი მნიშვნელობითაც იქნეს გამოყენებული, მაგალითად, „ბრძანება“ ზმნა შეიძლება გამოხატავდეს: ა) საკუთრივ ბრძანებას: „სარდალმა იერიშზე გადასვლის ბრძანება გასცა“; და იმედროულად — ენობრივი ეთიკის დონეზე: ბ) თქმას: „მეფეო, რად პბრძანეთ (—თქვენი ბერობა?)“ გ) ყოფნას: „პროფესორი სად ბრძანდება?“, დ) მყოფობას: „ეინ ბრძანდებიო?“, ე) დაჯდომას: „გთხოვთ, დაბრძანდეთ!“, ე) მოსვლას: „მასწავლებელი მობრძანდა“; ასევე: გახლავეს თავისი პირვანდელი მნიშვნელობით გამოხატავს თან მყოფობას („ბავშვი თან გახლავეს“), ხოლო ენობრივი ეთიკის დონეზე — რისამე ან ვისამე ყოფნას, მქონებლობას, არსებობას („მე თქვენი მონაფე გახლავეართ!“ ან „ტარხუნა არის? — „გახლავეს“); ამავე ძირისაგან ნაწარმოები გვახსლები, გვახელი ენობრივი ეთიკის დონეზე შეიძლება გამოხატავდეს მნიშვნელობებს: ჩამოვედი, მოვედი („სოფლიდან გუშინ გვახელით“), ვჭამე (ივანსამი უპმე გვახელით“).

ზემოსხენულის გასათვა-

ლსაჩინოებლად დაეასახელებთ რამდენიმე ნიმუშს „ვეფხისტყაოსანიდან“:

ა) სოციალურად თანასწორთა ურთიერთობისას:

უთხრა: „ძმაო, არ გიტყუემი, გიყავ, რაცა შემოგოცემ“...

იტყვის, თუ: მოჰკედვი, რას არგებ ქცევითა მაგ ოხერიითა“...

კვლა ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალფერიითა“...

ბ) მეფე მიმართავს ქვეშევრდომს:

უბრძანა: გიკთხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა...
უბრძანა: მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა...
გ) ქვეშევრდომი მიმართავს მეფეს:

ვაზირთა პკადრეს: „მეფეო, რად პბრძანეთ თქვენი ბერობა?“...

კვლავ მოახსენა ვაზირმან სიტყვა ნაგუშინდელევი...
შემდგომ ამგვარი დიფერენციაცია უკვე ასაკობრივი ცენზით განისაზღვრა, ხოლო ურთიერთობის ამგვარი წესის დარღვევა და უკიდურესად ფამილარული მეტყველების მანერის დამკვიდრება არცთუ სასიკეთო ძვერებზე მიანიშნებს საზოგადოებრივ აზროვნებაში.

რით არის საცნაური ყოველივე ის, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ?
ენას ქმნის ლექსიკური ფონდი და მისი მოხმარების გრამატიკული წესები. ეს არის ობიექტური მონაცემი. მაგრამ საზოგადოება, თავისი განვითარების შესაბამისად, სუბიექტური გააზრების საფუძველზე აქტიურად ერევა და ცვლის ლექსიკურ თუ გრამატიკულ მიმართებებს ენაში. მიზანი ერთია: სინამდვილის ენობრივი გამოხატვა გახადოს ამ სინამდვილის ალქმის ადეკვატური, ეს არის გარდაუვალი პერმანენტული პროცესი, და, ამასთანავე, თვალსაჩინო ნიმუშში იმისა, თუ გარეენობრივმა (კულტურისა თუ ყოფითმა) მოვლენებმა როგორ შეიძლება შეცვალოს მიმართებანი ენის სემანტიკურ სისტემებს შორის.

უკვდავება ღვაწლისა

ალექსანდრე ცაგარელი



1994 წელს ალექსანდრე ცაგარელს 150 წელი შეესრულდა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სასკოლის სასკოლმწიფო უნივერსიტეტმა და აბრთლდ ჩიქობავას სასკოლის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ამ თარიღს ერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს. პრინციპისა და დანიშნულების, ლ. მენამდის, ვ. მაქაბაძის, გ. გოგოლაშვილის მხსენებებში კარგად ჩაბრუნდა ალექსანდრე ცაგარელის ფასდაუღებელი ღვაწლი დატოვილი ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიისა თუ ქართული ენის ვლადის საფუძველი, მისი დამსახურება ზოგად დატოვილი ლიტერატურის წინაშე. გთავაზობთ სქისაგა წაკითხული ერთ-ერთი მხსენებლის შემოკლებულ ვარიანტს.

1922 წლის 29 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს ალექსანდრე ცაგარელს სამწიფო ასპარეზზე მოღვაწეობის 60 წლისა და საპროფესორ-სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის შესრულების გამო იუბილეს გადაუხდის. საიუბილეო სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა ბრძანა: „ალექსანდრე ცაგარელის დამსახურება ეპოქურია, მის შრომებზე თაობები ისწავლიან“. ვიფიქრობთ, დიდი ივანეშვილი ეს შეფასება ალექსანდრე ცაგარელს, უპირველესად, როგორც ენათმეცნიერს, უნდა ახასიათებდეს. დახვ, ალექსანდრე ცაგარელის დამსახურება ქართველური ენათმეცნიერების ისტორიაში ეპოქურია.

რელი და დაიწყო ახალი პერიოდი ქართველური ენების კვლევაში. მან სათავე დაუდო ქართველურ ენათმეცნიერებაში შესწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტში.

1871-1880 წლები — ესაა ა. ცაგარელის ენათმეცნიერული მოღვაწეობის პერიოდი, ზოგადად მისი მოღვაწეობის I პერიოდი. დახვ, ამ წლებში შეიქმნა და გამოქვეყნდა ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორც: 1. „კავკასიურ ენათმეცნიერული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ (1872 წ.), 2. „ქართული ენის ინფორმაციული და თურნულ ენებთან ნაგარეუდვი ნათესაობის შესახებ“ (1872 წ.), 3. „ქართული ენის საგრამატიკო ლიტერატურის შესახებ. კრიტიკული მიმოხილვა“ (1873 წ.), 4. „მეგრული ეტიუდები. ნაკვეთი I. მეგრული ტექსტები — თარგმანითა და ახსნა-განმარტებითურთ“ (1880 წ.), 5. მეგრული ეტიუდები. ნაკვეთი II. მეგრული ენის ფონეტიკის მცდელობა (1880 წ.).

„მეგრული ეტიუდებისათვის ა. ცაგარელს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა (1880 წ.) და ამით დასრულდა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი პერიოდი, ასე ვთქვათ, ენათმეცნიერული პერიოდი.

ა. ცაგარელის შრომითი ღვაწლისათვის, მათ მნიშვნელობაზე ბევრი თქმულა, ბევრიც ითქმება. დიდად დაინახეს არს. ჩიქობავა, რომ ნაღვრად შეწყდა ა. ცაგარელის, როგორც ენათმეცნიერის, მოღვაწეობა...

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს შემდეგ, რომ ქართველთმობულ რუსიფიკატორებმა ა. ცაგარელის ნაშრომი ისედაც ღვენილი და დაბეჭდვული ქართული კულტურის განადგურებისათვის გამოიყენეს. ეს ის პერიოდი, როცა იანოვიკი გამოდის ასპარეზზე და

იწყება „ზრუნვა“ „მეგრული ხალხის გადარჩენა“! ამ დროის უბედურება ისიც, რომ ა. ცაგარელის მიმართ ბრალდებები გაიშალა.

ქ. ქუთათისში წაკითხულ საუბარო ლექციაზე ნ. მარი იტყვის: „ქართველთა თვით უგანათლებულეს საზოგადოებრივ წრეებში ერთ დროს ისეთმა უკულმართმა, მეცნიერების საწინააღმდეგო მხედველობამ მოიკიდა ფეხი, რომ დარწმუნებით შემოიღო ვიქტორ, ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქმე 15-20 წლით შეჩერდა... თავის დროისთვის თვითიუღად საკმაოდ შეუკრული მეცნიერი დიდი გატაცებით ჩაეჭიდა ქართული კითხვების და განსაკუთრებით მისი მონათესავე ენების შედარებითი ენათმეცნიერების კვლევა მასალების შეკრებას და სტატისტიკურ შემუშავებას. მან გამოსცა უკვე მეგრული შესახებ ორი წიგნი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. იგი ემზადებოდა სვანურის შესწავლისათვის, მაგრამ დასწამეს, ერთი მხრივ, პატრიოტული გრძობის ვითომდა უქონლობა. მას მოურიდებელი სიტყვით შესძახეს, თუ როგორ ბედავს იმის თქმას, რაც თვალსაჩინოდ მტკიცდება მეგროვილი მასალიდან, რომ მეგრული თუმცა მონათესავე ქართულის, მის კილოს არ შეადგენს. ქართულის ფარდი, ლინგვისტურად თანასწორად მან ენა არის და არა გარყვნილი ქართული. იმედო მაქვს მომხდარი ბრძანებით, თუ ვისი მეცნიერული შრომა შეწყვიტა საზოგადოების შეუგნებლობამ. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ცაგარელის საუკეთესო მეცნიერული მოღვაწეობა შეწყვიტეს და ქართული ენის მეცნიერული განხილვა შეჩერდა“.

თავად ა. ცაგარელი დიდი სიღრმისაღი და შესაშური კომპიუნიკაციით და შესაშური კულტურით უპასუხებს

ოპონენტებს: „ზრი მეგრული ენის გამოკვლევისა, არც ანანის შედგენა, მე არ მეკუთვნის. დ. ბაქრაძეც კი მუშაობდა ამ ასპარეზზე და დიდად საჭიროდ და სასარგებლოდ მიანდა ეს საქმე ქართული მეცნიერებისათვის... ჩემ შრომას ამ ენაზე მხოლოდ მეცნიერული, თეორეტიკული მისანი და დანიშნულება აქვს და არა პრაქტიკული ან პედაგოგიური. ვინც ვეკვლი, ეს ჩემი სიტყვები კარგად დაინსომონ და თავი დაანებონ იმ წინადადებას და უხეფებელი ლაპარაკს, რომელიც ავგ რამდენიმე წელიწადია, რაც მესმის მეგრული ენის შესახებ ჩემი შრომის გამო“.

დახვ, ამ არასასიამოვნო ამბით გამოწვეული სულიერი განწყობილება, როგორც აღნიშნავს, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ა. ცაგარელი საშუალოდ ჩამოშორებოდა ენათმეცნიერულ საქმიანობას, ქართველური ენების კვლევას...

მაგრამ ის ნაყოფიერი ათი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ვ. თოფურაის ასე შეეფასებინა ა. ცაგარელის ღვაწლი:

„ალექსანდრე ცაგარელმა პირველმა მოიმარჯვა ქართველურ ენათმეცნიერული მონათესავე ქართულის და შედარებითი მეთოდი, მოგვცა ამ ენათმეცნიერებითი გრამატიკა, პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათმეცნიერულ შესწავლას, პირველმა მისცა დასაბამი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიას, მან პირველმა აღწერა მანამდე უცნობი მრავალი ლიტერატურული ძეგლი... ეს სწორედ აღებული გეხს შემდგომ არ შეცვლილა, მომდევნო მკვლევარებს მოუხდათ ა. ცაგარელის წამოწყებული კვლევების შეწყობა, გაგრძელება, გაღრმავება და არა თავიდან დაწყება“.

ბიორბი ბობოლაშვილი

«ხელს აწყობს» — არ გვაძლავს ხელს

როცა ვინმესთვის რაიმე საქმე ხელსაყრელია, სასარგებლო თუ მისაღები, ქართველი კაცი იტყობდა და იტყვის „ხელს აძლევს“ („ბევრმა ხელი აიღო ხენა-თესვაზე, რადგანაც ხელს არ აძლევდა“ — ილია). მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიტანოთ კლასიკური მწერლობიდან. ეს ზმნა შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა პირობა თუ დროის ფორმით:

- ხელს მაძლევს
- ხელს აძლევს
- ხელს აძლევს;
- ანდა:
- ხელს მაძლევდა

ხელს გაძლევდა
ხელს აძლევდა...
უარყოფით შინაარსს „არ“ ნაწილაკი ანიჭებს გამოთქმას: „ხელს არ მაძლევს“, „ხელს არ გაძლევს...“

ეს არის სწორი და წმინდა ქართული.

ზეპირ მეტყველებაში გავრცელებული (და ზოგჯერ სამწერლობო ენაში შემოჭრილი) „მაწყობს“ (შესაბამისად: გაწყობს, აწყობს. მაწყობდა, გაწყობდა, აწყობდა...) რუსული სათანადო გამოთქმის კალკია და, ამდენად, მიუღებელია ქართულისათვის.

ეს ცნობილი ფაქტია.

ამ ბოლო ხანებში ტელევიზიიდან თუ რადიოდან ერთ-ერთი მალალი თანამდებობის პირის საუბარში რამდენჯერმე გაიჟღერა გამოთქმა: „ხელს მაწყობს“, „ხელს აწყობს“... როგორც ყოველთვის, მალალი თანამდებობის პირთა მეტყველებაშია თუ მანერას იოლად უჩნდება მიზაძეულები და „ხელს აწყობს“ არაერთგზის გაისმა სხვათა გამოსვლებშიც...

ხელს აწყობს არაა ქართული გამოთქმა და ნუ მივცემთ მას მწვანე გზას... არ გაძლევს ხელს...

პარლამენტის სხდომიდან:
— შენ უთხარი და მე იმავსენი...
— უკვე მერამდენჯერ იყო ხალხები და საკითხები კენჭისყრამდე მიხული, მაგრამ...

— ჩემთვის არანაირი მნიშვნელოვანი არის პრეზიდენტი მიწისქვეშა ბუნკერში იქნება, თუ მე-4 საბრუნველი...

— დაჩქე კაცო, რა ჩანდაა გაწრალებს...

მინისტრთა კაბინეტის სხდომიდან:

— თქვენ რატომ ჩუმხართ?
— დავანებოთ საქმის მიღაწერებას თავი...

ცოლმა „მოშიად“ გადანახული ათათასმანეთიანი მომცა — კარტოფილი მომიტანე! გსდ წიგნის ჯიხურის ჩაუვარე. „სულის შეცნობის“ — რუდოლფ შტიინერის წიგნი შეენიშნე — „გარდისა და ჯვრის საიდუმლოება“ (თბ., 1994). იგი თარგმანის საგამოცემლო ცენტრ „ნოშლს“ გამოუცია. დიდხანს გვოცმანობდი, მეყიდა, თუ არა. ბოლოს ყიდვა გადავწყვიტე, უფრო იმიტომ, რომ სატიტულო გვერდზე ამოვიკითხე: „გიორგი ნიშნინიძის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით“. ბატონი გიორგი ნიშნინიძე თანამედროვე მთარგმნელთა საუკეთესო ოთხეულში მგეულება, და ამან გადამაწყვეტინა.

ასე რომ, ცოლს ვუგანე და სამი კილოგრამი კარტოფილის ნაცვლად შინ ეს წიგნი მივიტანე.

ნაშრომის ერთ ნაწილს — „თეოსოფიურ მორალს“ — ვერაფერი გაუკვა.

ან კი რას გაუკვებდი!

აქ ხომ ყოველ წინადადებაში ყოველგვარი (ენობრივი, სტილური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სხვა სახის) შეცდომა უხვად გვხვდება. აი, მათი სია:

მიწურვილს, ერთს და იგივეს, იგივეს ნიშნავდა, უდაოდ, ინსტიტი-

ვიყიდა და ვინახე

ტი (ამ ფორმით ეს სიტყვა ასჯერ მაინც არის ნახმარი), საქოლ უხვად, უამრავ საკითხთა, თვისობრიობა, სტოიკებიდან (უნდა სტოიკოსებიდან), წმინდათა წმინდა, თვითიული, ილწვოდა, ზემოთაღწერილ, ქალიშვილმა და სიფელმა მიიღო, გასწირავდა, შესძლო, პირობობდა, პირობა, ზოგიერთ ჭეშმარიტებებზე, მრავალ სიკეთეთა შორის, ყველა საიდუმლოებებით, წვდებოდა, აცდა, დაკარგავს, მრთულთან, ჭეშმარიტად არის მოწოდებული, ადგილი აქვს, ეხლავა, ქალღეგური, ერთსადაიგივეს გვიკეთებებს, სითამამესა და ლანრობის შორის, ზემოაღნიშნულ სიმამაცისა და გულგონებისადმი იგივე მიმართებაში ვიმყოფებით, გოლგოთას მისტერია, ცივილიზირებული, რამოდენიმეჯერ, გამოიხატება იმაში, გამოიხატა იმაში...

აქ მანერულობა და სიტყვაძამციობა (რაც ხუდ არ შვენის რუდოლფ შტიინერს) ჩვეულებრივია: „ამქვეყნიურ საქმიანობას განზინებული“, „იმპულსიები...“ აქ ხომ „რაოდენ“ შეიძლება გამოიხატოს სიტყვით „რადგან“, „უზომო“ სიტყვით „უზომიერო“; აქ „საპირისპირო გზა“ იოლად მივიყვანთ „სამპირისპირო გზამდე“; „იმპულსს აძლევს“ აქ აღვივლად იქცევა ზეკოსმიურ ფორმად „იმპულსირებს“. „ძირფევიან გვეწყვეტს გარესამყაროდან“ ნიშნავს „ძირფევიანად გვეწყვეტს გარესამყაროდან“; აქვე პოსტატატიკურ-ში უნდა ამოიცნოთ „პოსტატლანტიკური“; წიგნის გვირგვინი ჩემი აზრით, მაინც ეს გამოთქმა: აღმართათვის ღვთაებრივ საძოვარს წარმოადგენდა (67). მიხვდით? დიახ, „საძოვარი“ უდრის „საბოძარს“.

მავე გვერდზე „წინასწორობა“ წინასწორობას უტოლდება, ხოლო იქვე „ამიერ“ ნიშნავს ფორმას „ამიერიდან“; „შევინივითებო“ აქ იგივეა, რაც ჩვენებურად „შევითვითებო“; თეოსოფიური აქ წარმოდგენილია როგორც „ფეოსოფიური“ (ალბათ, ალიტერაციისათვის). ამას იმიტომ განვმარტავ რომ მაგანს „მოივი“ მორფი არ ეგონოს. ჩვენ გვერდია, რომ „ფრანცისკი ასიზელი“ უნდა ნიშნავდეს ფრანცისკო ასიზელს. მართალია, 73-ე გვერდზე იგი „ასიზელად“ არაერთხელ არის

მოხსენიებული, მაგრამ ვე არაფერი. აი, „გულისხმიერება“ და „თანა-ალმობა“ კი კორექტურა გვერდია. „არათუ უსაფუძვლოდ“ კი კორექტურული შეცდომა არაა, იგი ახალი ტერმინია და ნიშნავს: „არცთუ უსაფუძვლოდ“, „ამიერ“ საგანგებო ტერმინია და ნიშნავს „ამიერიდან“-ს, ხოლო საერთოდ კი — „ამიერიდანს“. „ანსტალური“ ანსტალურია, „მუცელღორბობა“ — მუცელღორბობა; „მსოფლგამჭვრეტა“ იგივეა, რაც მსოფლმხედველობა, „გადავებს“ იგივეა, რაც ქადაგებს, ფორმირდება — ჩამოყალიბდება. „მასაბუთებელი“ და „გაბუჯითებით“ კი ნეოლოგიზმებია. ვუიქრობთ, სომხიზმია ამგვარი გამოთქმა: „რაც ამ სამი საღამოს მანძილზე მოისმენთ“.

მათთან შედარებით „მზადმზარეული“ იავნანად მიგვეყურებათ, ხოლო „ყალკზე დგებოდას“ ნაცვლად ნახმარი „იყალკებოდა“ მხოლოდ იმას მიახერხებს, რომ იმას ყალკზე დაგიყენებთ, თუ, რა თქმა უნდა, ჩემსავით მელოტი არა ხართ.

ალბათ, არ გამეძტყუნება, თუ ამ წიგნის ყიდვა ვინანე. ნეტა კარტოფილი მეყიდა.

მურმან თაყაიშვილი

ფარეხი ცხვრის სადგომია

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ითქვა: „ტროლიბუსი ფარეხში მიდიოდაო“. შევახსენებთ პურისტ კომენტატორებს:

ფარეხი ცხვრის საზამთრო სადგომია (იხილეთ: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“), ამიტომ ტროლიბუსი იქ ვერ შევიდოდა. ტროლიბუსისა და ავტომობილების სადგომს გარაჟი ჰქვია (იხილეთ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი და სხვა).

უნისონი...

ამას წინათ საქართველოს ტელევიზიის გადაცემის — „ვი ჯეის“(!) — ავტორებმა ერთ-ერთი ფორმის მიმართ მადლიერება ასე გამოხატეს: „**მადლობას გუხდით ფირმა "UNISON" მასალების მოწოდებისათვის**“. დიახ, გვრანზე ასე დაიწერა. რადგან ფირმამ ასეთი სახელი დაირქვა, გადაცემის ავტორები ვალდებულნი იყვნენ, ქართულად დაეწერათ — „უნისონს“.

სიტუაციით სავსე ქართული

სულხან-საბა ორბელიანი

„სიბრძნე სიბრუნსა“

უბრძანა მეფემან [ლეონ]:

— რასათვის ძნიად გიჩნს ყოფა ჩემთანა?

მოახსენა ლეონ:

— მეფისა თანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის, სიცხე დასწვავს და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზარავს. მეფისა თანა მყოფსა კაცსა ხუთნი ძნელნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: რომე ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორეს თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს.

მეორე: აგრევე ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს.

მესამე: გული ფუნდუკისაგან უდიდესი ჰქონდეს, რაც ყურიდამ შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს.

მეოთხე: რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას.

მეხუთე: ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს.

თქვა ლეონ არაკი:

ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს.

მეორე: გამწყრალი დაანყნაროს, არა თუ მხიარულად გაანყნაროს.

მესამე: პირიდან ავი სიტყვა არ წაიციტუნოს.

მეოთხე: სიტყვის თქმის უამი იცოდეს.

მეხუთე: რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს.

თქვა ლეონ არაკი:

ენით დაკოდილი

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ღხინი აჩვენა. დათვი დაუთხოვა, გამოესალმა, მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცინა დათვისათვის.

მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობი!

წავიდა დათვი. და მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო: მოისშემას დაგკოდ და წამოვიდებო!

მოვიდა დათვი და,

რაც მათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუყინა: თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული — არაო.

— ეჰა, მეფეო, ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წელულს ეღხინოს. არაკად თქმულა: შენს იქით კაცის ისარის კვრა ბუხუას ცემას დაადარეო! ჩემი ვის რა სტკივა, თუ რა იყო?

უტკბესი და უმნარესი

ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა: წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა ზღვათა შინა იპოვებოდესო!

წავიდა ვაზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა.

უბრძანა კიდევ: წადი, ასეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არ იპოვე-

ბოდესო! წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა.

უბრძანა მეფემან: მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და ენა მომიტანეო!

მოახსენა ვაზირმან: თავმან შენმან, არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო.

სტილი

რავა აბიტატორიით გველაპარაკები

ურთიერთობის სხვადასხვა სფეროთი განპირობებულ სალიტერატურო ენის ვარიანტებს ფუნქციურ სტილებს უწოდებენ.

ფუნქციურ სტილთა სისტიმას სხვადასხვა ხალხის ენებში სხვადასხვაა. ეს სისტიმა განსხვავებულია ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზეც. თანამედროვე სალიტერატურო ენათა უმრავლესობისათვის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფუნქციური სტილები: საყოფაცხოვრებო-სასაუბრო, საგაზეთო-პუბლიცისტური, პროფესიულ-ტექნიკური, ოფიციალურ-საქმიანი და სამეცნიერო.

ამ მხრივ საინტერესოა ნ. დუმბაძის ცნობილი რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ერთი ეპიზოდი, კერძოდ — აბიტატორის სტუმრობა ომის დროს ოლღა ბებიასთან.

„... აბიტატორს გაუმარჯოს, — თქვა ილიკომ და არაყი დაასხა.

— მოინიე ბუხართან, შეილო, — მიიპატივა ბებია.

— რას გვეტყვის ახალს აბიტატორი? როგორაა საქმე ფრონტზე? — თქვა ილარიონმა.

— ფრონტზე არა უშავს, მონიხალმდევს შეტევა შეჩერებულია. პიტლერის გეგმა ელვისებური ომის შესახებ დაინგრა!

— მაგი იანვრის გაზეთში ეწერა, ახლა კი თებერვალია, შენ რამე ახალი გვითხარი.

— ახლა მე თქვენთან

სერიოზული საქმე მაქვს და დამიგდეთ ყური.

— დაიწყე, — უთხრა ილარიონმა. აბიტატორმა ჩაახველა, ფეხზე ადგა და ისე დაიწყო, თითქოს ათასკაციან მიტინგზე გამოდიოდა.

— ამხანაგებო, სოციალისტური სამშობლო გასაჭირშია, ვერაგი მტერი თავისი სისხლიანი ხელებით ეპოტინება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გვირუღად ებრძვის ფაშისტურ ზროვას.

— რაე გაზეთი გველაპარაკებ, შე უპატრონო, თქვი, რა გინდა! — შეანყევტინა აბიტატორს მოთმინებიდან გამოსულმა ილიკომ. აბიტატორი სახტად დარჩა.

— თქვი, პო, რა გინდა! — შეეშველა ახლა ილარიონი.

— წითელარმიელებისათვის საჩუქრებს ვაგროვებთ და თქვენც ხომ არ შეგვეწვეით რამეს? — თქვა აბიტატორმა და ისე შევებით ამოიხუნთქა, თითქოს ყელში წაჭერილი ბანარი შეეხსნათ მისთვის.

— ასე გეთქვა, შეილო, იმხელა მოხსენება რომ წაგვიკითხე — თქვა ბებია. (ნ. დუმბაძე, ტ. I, გვ. 42, თბ., 1982 წ.).

ამ მონაკვეთში ყურადღებას იქცევს ერთი მხრივ აბიტატორის და მეორე მხრივ დანარჩენი პერსონაჟების(ოლღა ბებიას, ილიკოს, ილარიონის) მეტყველება. აბიტატორმა სამჯერ წამოიწყო საუბარი მსმენელებთან, რომლებიც მისი მეზობელი უბრალო გლეხები არიან. აბიტატორის პირველი

ორი გამოსვლა ოფიციალური ხასიათისაა და იმდროინდელი საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ტიპური ნიმუშია. ასეთი საუბარი მოცემული სიტუაციისათვის სრულიად შეუფერებელია. ამიტომაც, რომ მოთმინებადაკარგული ილიკო შესძახებს, რაე გაზეთი გველაპარაკებო. ილიკოს შენიშვნის შემდეგ აბიტატორი საყოფაცხოვრებო-სასაუბრო სტილზე გადადის, რის გამოც თვით აბიტატორიც შევებით ამოიხუნთქებს და მისი ნათქვამი სხვებისთვისაც ადვილი გასაგები ხდება.

რაც შეეხება ოლღა ბებიას, ილიკოს და ილარიონს, მათი მეტყველება ამ მონაკვეთში (ისევე როგორც მთელს რომანში) საყოფაცხოვრებო-სასაუბრო სტილის ჩვეულებრივი ნიმუშია, შეფერილი გურული დიალექტიზმებით.

სამეცნიერო სტილის ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ თუნდაც ეს ადგილი აკაკი შანიძის „თხზულებათა“ III ტომიდან: „1923 წ. ი. ჯავახიშვილმა პალიმფსესტებში ამოიკითხა ხანმეტიტექსტები და გამოსცა ისინი; ამან ძლიერ შეუნყო ხელი ქართული ენის ისტორიული საკითხების კვლევა-ძიებას, რადგანაც ქართული ენის უძველესი ტექსტების აღმოჩენასა და გამოცემას მოჰყვა ინტენსიური მუშაობა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის დარგში“. (ა. შანიძე, თხზ., ტ. III, გვ. 019, თბ., 1980).

თითოეულ სტილს თავისი ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებანი მოეპოვება. მაგალითად, პროფესიულ-ტექნიკური და სამეცნიერო სტილების აშკარა ნიშანია სპეციალური ტერმინების სიხშირე. ოფიციალურ-საქმიანი სტილი ცდილობს მოძველებულ სიტყვათა შენარჩუნებას, ხოლო საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში ასეთი სიტყვები შესაძლებელია ირონიის გადმოსაცემად იყოს გამოყენებული.

ოფიციალურ-საქმიანი და სამეცნიერო სტილთა სინტაქსი ხასიათდება სისრულით, გამლილობით, თხრობის ლოგიკური თანამიმდევრობით, რაც სრულიად არ ახასიათებს საყოფაცხოვრებო-სასაუბრო სტილს. მასში, პირიქით, ხშირია უსრული წინადადებები, დაუმთავრებელი ფრაზები, ლოგიკური კავშირის წყვეტა. თანამედროვე ენებში ფუნქციურ-სტილური საზღვრები ძალზე მერყევიან და ძნელი დასადგენია.

ერთი სტილისათვის დამახასიათებელი ერთეულები შეიძლება გამოყენებული იყოს ენის სხვადასხვა ფუნქციურ სახეობებში.

უნდა გაირჩეს სიტყვის ხმარება მისთვის ტიპურ გარემოში, რომელშიც ის რეგულარულად გამოიყენება, სადაც ის ადვილად იგულისხმება და სიტყვის ხმარება არატიპურ პირობებში, განსაკუთრებული ფუნქციით.

რამაზ ქურდაძე

მთხაიკა

უკროსვორდოვ...

ჩინელებს და იაპონელებს არ შეუძლიათ საკუთარ ენაზე შედგენილი კროსვორდის ამოხსნის სიამოვნება განიცადონ. მათი დამწერლობა იეროგლიფებზეა დაფუძნებული, რაც საშუალებას არ იძლევა, სიტყვები ცალკეულ ნიშნებად დაიყოს.

ასე კველი ნიშნები

ირანში აღმოაჩინეს ციფრული ნიშნები, რომლებიც დაახლოებით ჩვენს ერამდე IX საუკუნის შუა წლებით თარიღდება.

კვედა კულტურულ ფენაში

ყველაზე უძველესი პი-

ქტოგრამები აღმოაჩინეს ნიფურში, სამხრეთ შუამდინარეთში, თიხის ფირფიტებზე. არქეოლოგებმა ამ ფირფიტებს ქვედა კულტურული ფენაში მიაკვლიეს. 1979 წელს მიახლოებით განისაზღვრა მათი ასაკი — 3400 წელი ჩვენს ერამდე.

ილიობრამები კარამიკაზე

დამწერლობის უძველესი ნიმუშები იანაოს კულტურის კრამისის ფრაგმენტზე აღმოაჩინეს ეს ფრაგმენტები ჩინეთის შენსის პროვინციაში, ქალაქ სიანის მახლობლად იპოვეს. ილიობრამებისათვის აღინიშნება ციფრები 5,7 და 8, თარიღდება 4-5 ათასწლეულით ჩვენს ერამდე.

ენა და ნორმა

როსა სიმრავლე
გაურკვეველია

ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საუბრებში ფართოდ გავრცელდა გაურკვეველი (არაკონკრეტული) სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან საზღვრულის მრავლობით რიცხვში დასმა, რაც ენობრივი ნორმის აშკარა დარღვევაა. მხოლოდ ერთ სატელევიზიო გადაცემაში საკმაოდ ბევრი ასეთი შეცდომა დაუშვეს.

„ყოველდღიურად ჟამრავი ჯგუფებია აყვანილი“.

„ყველა ძაღლები, რაც გაგვანია“

„ჩახედული ვარ მრავალ საქმეებში“

„ის აუარებელი საქმეები, რაც მთავრდებ...

ბა...“ და მისთანანი.

ამის თაობაზე არსებობს ნორმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფართო მკითხველამდე ვერ მიღწია: მცირე ტირაჟით გამოცემა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ ბიულეტენი (№3) 1987 წელს, სადაც დაიბეჭდა ნორმა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

ამიტომ საჭიროდ ვთვლით, გადმოვბეჭდოთ შესაბამისი თავი და ხელმისაწვდომი გავხადოთ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ დაადგინა:

1. საზღვრული დაისვას მხოლოდ რიცხვში, თუ მას გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელად ახლავს:

ა) ზედსართავი სახელები (ცოტა, ბევრი, მრავალი, უმრავი, უთვალავი, აუარებელი, აურაცხელი, ურიცხვი, უანგარიშო, უზომო) და ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელები (ქვეყანა, მიღეთი, ზღვა);

ბ) ნაცვალსახელები: განსაზღვრებითი (ყველა, ყოველი, სხვადასხვა), განუსაზღვრელობითი (ზოგი, რამდენიმე), ჩვენებითი (ამდენი, იმდენი, მაგდენი), კითხვითი (რამდენი);

გ) რაოდენობითი რიცხვითი სახელი ათასი და განსაზღვრული რიცხვის აღმნიშვნელ ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული სახელები (ათეული, ასეული, ათასეული, მრავალათეული, მრავალასეული, მრავალათასიანი, მრავალმილიონიანი, არაერთი, თითო-ორლა).

2. ამავე წესს დაექვემდებარონ საზღვრული სახელები, თუ ისინი შეესატყვისებიან — ნაირ(ი) და — გვარი(ი) ელემენტებთან შერწყმით და —ობ-ით სუფიქსის დართვით მიღებულ ზედსართავ სახელებს (ამდენნაირი, ბევრნაირი, მრავალნაირი, რამდენიმენაირი...; ამდენგვარი, ბევრგვარი, მრავალგვარი, რამდენიმეგვარი...; ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით...).

3. საზღვრული შეიძლება დაისვას მრავლობითში, თუ მას შესიტყვებაში მსაზღვრელად ახლავს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ცალკეული.

4. საზღვრული დაისვას მრავლობითში, თუ ის განსაზღვრულია რიგი და წყება სახელებით (ივარაუდება ისეთი შესიტყვებები, როგორცაა რიგი მკვლევარები).

5. დასაშვებად იქნეს მიჩნეული აღნიშნულ შესიტყვებებში საზღვრულის მრავლობითში დასმა პოეტურ და ექსპრესიულ მეტყველებაში.

მანვილი სიტყვა

კვება უმეცარების
მასალაგვიდან

სიმართლა
შვილიშვილამდინაო

ერთი ქურდი კაცი თურმე იყო, დიას მოუსვენარი. უშლიდა მამა ბოროტს ყოფაქცევას: კაცმა თავისი უნდა სჭამოს და არა სხვისაო. შეიღმა ყურადღება არ მიაქცია მამის დარიგებას. შემდეგ მამამ უთხრა შეილს: წადი, შეილო, და ეს სამი მთა გადაიარეო, რომლიდგანაც რა ხმა გაიგონო; მოდი და მითხარო. გაუგონა შეილმა და აუსრულა თხოვნა. როდესაც მოვიდა მთიდგან, უთხრა მამას: მესამე მთამ მითხრაო, წადი და მოგეწვიო. ამისხენ, მამაე, რა არის ესაო? მამამ უთხრა: შენი აგაკობისათვის არც შენ გეკითხვის,

არც შენს შეილსაო, შეილიშვილს კი გარდასდებაო. ნათქვამია, მამამ ჭამა ტყემალიო, შეილიშვილს კბილები დააჭრაო. ყველამ იცოდეთ, — სიმართლე შეილისშვილამდინაო.

შარის მთავალი

ერთი კაცი გზას ხნამდა. ჰკითხეს: რა უნდა დათესოვო? და: შარიო, — უპასუხა, — ვინც აქეთ გაივლის, დავა უნდა დავეწყოვო.

ტყუილი ტირილი

ერთი ყმანელი ქალი იყო, წყალზე ჩაივდა წყლის მოსატანათ. წყლის პირას დაჯდა ხის ძირში. იფიქრა მე რომ გავთხოვდე, შეილი მამეცემა, წყალზე ჩამოვა, ამ ხეზე ავაო, ხილამ რო ჩამოვარდეს, ამ წყალში ჩავარდებო და დაიხრჩობო. ეუი შენ დედა: საო! მოჰყვა ტირილს. ამასობაშიც დედაც აქ მოვიდა. ქალს ჰკითხა: რა გატირებს, შეილოვო? რაღა რა მატირებსო,

უთხრა ქალმა: რო გავთხოვდე და შეილი მომეცეს, აქ მოვა, ხეზე ავა, ჩამოვარდება და წყალში და დამელუბება. ბებიას ვილა დაგიძახებო, როგორ არ ვიტყვებო. ეუი შენ დედა: სა, ეგ რა მოგველიაო, — დაიწყო დედამ და მოჰყვა ტირილს. მოვიდა ქალის მამა: რა გატირებთო, რა დავმართათო? ცოლმა უთხრა: ასე და ასეა, ქალი რო გაგვითხოვდეს, შეილი მიეცეს, ამ ხეზე ავიდეს და ჩამოვარდეს, წყალში ხომ დაიხრჩობაო და პაპას ვილა დაგიძახებო. შენ კი არ იტირებ ქალის შეილსა, პაპა ხარო? ქმარმა უთხრა: დივიცა, ამ ხეს ტოტს მოვტყვებ, რომ ყმანელი არ ავიდესო. მოსტყვა და ურტყა ცოლსა და ქალს.

ინაზოს ღმერთმა...

1995 წლის 25 მაისს საქართველოს სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთობლივი დადგენილებით, საქართველოს საპატრიარქოს ვგიდით, ქ. ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია იმ მიზნით, რომ აღსდგეს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემიის ტრადიციები.

წესდების თანახმად, გელათის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის განმსაზღვრელი მიმართულებებია: 1. ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა; 2. ღვთისმეტყველება; 3. საეკლესიო სამართალი; 4. ლიტურგიკა; 5. ქრისტიანული ფილოსოფია; 6. ქრისტიანული ანთროპოლოგია; 7. პედაგოგია, ეთიკა, ესთეტიკა; 8. ქრისტიანული კულტურა; 9. საერო ლიტერატურა; 10. ქართული ენა; 11. ისტორია.

გელათის მეცნიერებათა აკადემიაში იქნება 21 ნამდვილი წევრი, ეყოლება საპატიო და უცხოელი წევრები.

ღვთისმეტყველების ნამდვილ წევრებად არჩეული და დამტკიცებულია 14 მეცნიერი, ანუ საერთო რიცხვის ორი მესამედი. ესენი არიან:

1. პროტობრესვიტერი გიორგი გამრეკელი (ბიბლიოლოგია, ღვთისმეტყველება);
2. ბატონი ზაზა ალექსიძე (არმენოლოგია, ეკლესიის ისტორია);
3. ბატონი აკაკი ბაქრაძე (ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა);
4. ბატონი კორნელი დანელია (ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია);
5. ბატონი მაგალი თოდუა (ირანისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა);
6. ბატონი ვიტალი კაკაბაძე (ფილოსოფია, ფსიქოლოგია);
7. ბატონი ზურაბ კიკნაძე (ბიბლიოლოგია, სემიოლოგია, ფოლკლორისტიკა);
8. ქალბატონი დამანა მელიქიშვილი (ენათმეცნიერება, ფილოსოფიის ისტორია);
9. ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქართული ლიტერატურის ისტორია);
10. ბატონი თედო უთურგაძე (ენათმეცნიერება);
11. ბატონი მიხეილ ქურდიანი (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა);
12. ქალბატონი მზეჭალა შანიძე (სემიოლოგია, ტექსტოლოგია);
13. ბატონი ალექსი ჭინჭარაული (ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა);
14. ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე (ენათმეცნიერება, ტექსტოლოგია).

მათ მიენიჭათ აკადემიკოსის წოდება და გადაეცათ შესაბამისი სიგელი.

20 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა აკადემიკოსთა სხდომა, რომელზეც ორ ტურად ფარული კენჭისყრით გელათის მეცნიერებათა აკადემიის ბრევიდენტად აირჩიეს ბატონი მაგალი თოდუა, ხოლო აკადემიკოს-მდივანად — ბატონი მიხეილ ქურდიანი.

ჩვენს საზოგადოებას, მორწმუნე ერს, საქართველოს მთელს მოსახლეობას ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. ინებოს ღმერთმა, რომ გელათის მეცნიერებათა აკადემია იქცეს ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა და ინტელექტუალური განვითარების ერთ-ერთ ძირითად ცენტრად.

ახალი ნიბნები

ბისარიონ ჯორბანაძე, ქართული ენის მორფოლო-

გია — ნიგნი წარმოადგენს პროგრამა-პროსპექტს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული „ქართული ენის სისტემური კურსის“ ერთ-ერთი ნაწილის — მორფოლოგიისას. სამწუხაროდ, ავტორს არ დასცალდა პროგრამა-პროსპექტი მონოგრაფიად ექცია, მაგრამ ამ სახითაც გამოცემა კარგ სამსახურს გაუწევს ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს, ნიგნი გამოსცა ბ. ჯორბანაძის საზოგადოებამ; რედაქტორია გ. გოგოლაშვილი.

უდაბნოს მრავალთავი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ძველი ქართული ენის კათედრის შრომათა ოცდამეგრეე ტომი, რომელიც მთლიანად დაეთმო „უდაბნოს მრავალთავს“. ნიგნი გამოსაცემად მოამზადეს ძველი ქართული ენის კათედრის თანამშრომლებმა (კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ, ზ. ჭუმბურიძემ).

ნიგნს უძღვის ა. შანიძის წინასიტყვაობა და ზ. ჭუმბურიძის გამოკვლევა „უდაბნოს მრავალთავის“ შესახებ; ერთვის ბელგიელი ქართველოლოგის მიშელ ვან ესბროკის „უდაბნოს მრავალთავის შედგენილობა და სტრუქტურა“.

ნიგნის რედაქტორები არიან ა. შანიძე და ზ. ჭუმბურიძე. „უდაბნოს მრავალთავი“ დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

შოთა ჭურბაძე, ვეფხისტყაოსანი სკოლაში

ნიგნი წარმოადგენს მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომს. იგი შედგება წინასიტყვაობისა და სამი თავისაგან. ნიგნს ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი.

ბურამ თოფჩიანი, დაღესტნური ენების ბრუნების

მორფოლოგია — მონოგრაფია შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. მასში განალიზებულია ყველა დაღესტნური ენის მონაცემი — სულ 26 ენისა. მონოგრაფია გამოადგებათ არა მარტო იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტებს, არამედ იმათაც, ვისაც აინტერესებს სახელთა ბრუნების პრობლემები საზოგადოდ.

ნიგნი დაბეჭდილია რუსულ ენაზე. მისი სპონსორია ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი კარლ პორსტ შმიდტი.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა ნინო ძემაძე-ბერიძემ თემაზე „პრედიკატული ეპითეტის ლინგვიპოეტური მექანიზმი“ (ინგლისური ენის მასალაზე).


ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა რევაზ ძემაძემ თემაზე „გურიის ტოპონიმია“.

„დაუინებელი შეკითხვის“ პასუხად გამომცემლობა „განათლების“ დირექტორმა ბატონმა ლუკა ხუნდაძემ გვაცნობა, რომ ი. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას „ქართული ენის

ორთოგრაფიული ლექსიკონის“ გამოცემის საკითხი უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს. ბატონი ლუკა შეგვიბრდა, რომ დამატებით ინფორმაციას მოგვავწყდის.



ენაშენა



ჩვენო პატარა მეგობარო, თუ გიჭირს ქართული ანბანის დამახსოვრება, ისწავლე ეს ლექსი და ანბანიც გეცოდინება.


პასტანა გოგოლაშვილი

ლომის მამითადი

(მხიარული ანბანი)

ა-ლათასა, ბალათასა,	ს-ანახავად მადლი კია,
ბ-ლით გავავსებ კალათასა,	ტ-რაქტორს ჯანით ეჯობრება,
ბ-უგულები ანულოზე	შ-დლით ქედი გახდრეკია.
დ-ასძახიან ბარაქასა.	შ-არცხავს კიდევ, თესავს
მ-მელებს სიქათქათეს	კიდევ,
მ-ჭრი გაუხუნებია,	დ-თნეც მოსდევს სპრიალევ.
ზ-ღარბებს ჭური მოუხდიათ,	მ-ვაგი გუთანს უკიდია.
თ-თნე ჩაუხურებიათ.	შ-აშვი ბელტებს ატრიალებს.
ი-რემს კერძი შემოუდგამს,	ჩ-რდილში სხედან
ქ-ერა აუბოლებია, —	მომდერლები —
ლ-ომს ყანა აქვს დასათესი,	ც-იცრები და კაკბებია,
მ-ამითადი მყოლებია.	ძ-ერას ჩაფით ღვინო მოაქვს,
ნ-ალიიდან მჭადს იღებენ,	წ-ვეთიც კი არ დაჰკლებია.
ო-რმოს ხსნიან	ჭ-რელ ბაღდაღზე სუფრას
კაკლებიანს,	შლიან,
პ-ურ-მარილის გასაწყობად	ხ-ახვს და მწვანილს
შ-ირაფიც არ დაჰკლებია.	დაბლა ყრიან,
რ-წ ქნას, ერთი ხარი	ჰ-იხვის ყანწი აუფსიათ,
შრომობს,	ჰ-არაღესაც დასძახიან.

თავსატახი



წრეში მოცემულია ქართული ანბანის ასოთა სახელების დაბოლოებები. წრის გარშემო მოთავსებულია 33 რგოლი. ჩაწერეთ თითოეულ რგოლში ასო, რომლის სახელწოდების დაბოლოებაც მოცემულია წრის შესაბამის მონაკვეთში.

რატის ტურა იმცა მელად

გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ თამაში „გადავაქციოთ კატა ლომად“. რედაქციაში მივიღეთ რატი ნიქაბაძის წერილი. მან კატა ლომად აქცია, გოჭი-ღორად, ბარი-თოხად:

კატა-კამა-ლამა-ლამი-ლომი
 გოჭი-გორი-ღორი
 ბარი-ბახი-ბოხი-თოხი

რატის ამ თამაშისათვის ახალი სიტყვებიც მოუფიქრებია და ტურა მელად გადაუქცევია, ჭირი-ჯანად, ნავი-ზარად, გემი-კარად. ახლა თქვენც გთავაზობთ ამ ახალ დავალებას, რატის კი მადლობას ვუხდით თამაშში მონაწილეობისათვის.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კრისკორდის პასუხები

- პორიზონტალურად:** 1. თევდორე, 3. ჩიხითმა, 4. იაღგარი, 6. იავნანა, 8. გონიერი, 9. ექვთიმე.
- მერტიკალურად:** 1. თბილელი, 2. ეპილოგი, 3. ბეთლემი, 5. იაგუნდი, 7. არემარე, 8. გძელაძე

შეცდომების გასწორება



პირველ ნომერში გაიბარა რამდენიმე დასაწერი შეცდომა:

გვ. 13. პალესტინაში აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი წერილობითი ძეგლის თარიღია VI საუკუნის I ნახევარი.

გვ. 14. ს. ომიძის დისერტაციის თემა: „სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და „შეუძლებელი შეხამებანი“ თანამედროვე პოეზიის ენაში“

გვ. 15. ვახტანგ გოგოლაშვილის ლექსის სათაურია: „უცნაური ლექსი, ანუ რა საჭიროა წერტილი და მძიმე“.

არ მოტყუვდეთ, ეს თბილისია!!!



ფობოები ჯამარ ლოგადისა

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, №1686.

მისამართი: ქ. ინგოროვებს
ქ. №8.

ფასი 1000 მანეთის
შ.კ. კუპონებში.